გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიგა გელაშვილის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 318 საკითხის განხილვაში.

საანგარიშო პერიოდში ვასრულებდი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრრულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას და დავესწარი ბიუროს 8 სხდომას სადაც მონაწილეობა მივიღე 93 საკითხის განხილვაში.

ვიყავი ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი დავესწარი 3 სხდომას, მონაწილეობა მივიღე 6 საკითხის განხილვაში.

ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 18 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 72 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები ჩემს ამომრჩეველს როგორც საკრებულოს პროპორციული წევრი. ასევე, პერიოდულად ვესწრებოდი სახვადასხვა სახის ღონისძიებებს.

1. ჩემი ინიცირებით ცვლილება შევიდა "გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამაში" , ცვლილება შეეხება პერსპექტიული სპორტსმენების ხელშეწყობის და თანადაფინანსების ქვეპროგრამას სადაც დაემატა ოლიმპიურ სპორტის სახეობებში მონაწილე სპორტსმენები, რომლებიც ირიცხებიან ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებში, პარალელურად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სწავლობენ აკრედიტირებულ პროგრამებზე მიიღებენ სწავლის თანადაფინანსებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული ინიციატივა გათვალისწინებული იქნა "გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამაშიც".
2. საკრებულოს წევრებთან ერთად შევხვდი გორი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ხელმძღვანელებს, გავეცანი მათ ყოველდღიურ საქმიანობას, შეხვედრის დროს ნახსენები პრობლემები და ინიციატივები გადავეცით გორის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. მიმდინარე წელს ვესტუმრე ბაკურიანისა და ბიისის საზაფხულო ახალგაზრდულ ბანაკებს , რომელიც საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-

დემოკრატიული საქართველოს“ და გორის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით განხორციელდა ,ბანაკებში მონაწილეობას 400-მდე ახალგაზრდა იღებდა გავეცანი ახალგაზრდების აქტივობებსა და საცხოვრებელ პირობებს .

4. სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ვიმყოფებოდი გორის სახელმწიფო უნივერსიეტეტში, სწავლის დაწყება მივულოცე სტუდენტებს ხოლო სამართალმცოდნეობის სპეციალობის პირველკურსელებს გადავეცი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ირაკლი კობახიძის ავტორობით დაწერილი კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელოები .
5. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საკრებულო ახალგაზრდებისთვის „ ფარგლებში სამუშაო შეხვედრა გავმართე გორის , გურჯაანის და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდა მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლებთან , რომლის მიზანი იყო ახალგაზრდული მიმართულებით არსებული გამოწვევების განხილვა და მუნიციპალიტეტებს შორის არსებული კარგი პრაქტიკების გაზიარება .
6. გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მივიღე 100%-იანი გრანტის მქონე სტუდენტების დაჯილდოვებაში , გორის მუნიციპალიტეტიდან ეროვნულ გამოცდებში 100%-იანი გრანტი 39 ახალგაზრდამ მოიპოვა და ყველა მათგანი მუნიციპალიტეტისგან 500 ლარით დაჯილდოვდა .
7. ჩემი ინიციატივით , საკრებულოს წევრებთან ერთად შევხვდით გორელ სუმოისტებსა და მათ მწვრთნელს , შეხვედრაზე ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე სპორტსმენებს მივულოცეთ მორიგი წარმატება რის შემდეგაც გადავეცით სუმოისტებს მადლობის სიგელები.
8. ასევე საკრებულოს თავმჯდომარესთან და წევრებთან ერთად შევხვდი გორელ მოკრივეებს და მათ მწვრთნელებს , მივულოცეთ ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებები და გადავეცით მადლობის სიგელები .
9. გორის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მივიღე დაჯილდოვებაში სადაც გორელ სპორტსმენებს , მწვრთნელებს და გუნდებს 2022 წელს მიღწეული სპორტული წარმატებისთვის გორის მუნიციპალიტეტისგან სიგელები და ფულადი პრიზები გადაეცათ
10. საკრებულოს წევრებთან ერთად შევხვდი გორელ მწერლებს გავეცანი მათ საქმიანობას შეხვედრა გაგრძელდა კითხვა პასუხის რეჟიმში , შეხვედრაზე წარმოთქმული პრობლემები და ინიციატივები გადავეცით გორის მუნიციპალიტეტის მერიას
11. გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ერთად ჩავერთე ჰუმანიტარულ კამპანიაში , რომლის ფარგლებშიც ჰუმანიტარული ტვირთი შევაგროვეთ თურქეთში მიწისძვრის შედეგად დაზარალებული

ადამიანებისთვის , ასევე აღნიშნული კამპანიის ფარგლებში ჰუმანიტარული პროდუქტით დავეხმარეთ გორში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს .

12. სისტემატიურად ვეცნობოდი გორის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს , საკრებულოს წევრებთან ერთად სოფელ ქვახვრელში დავათვალიერე მულტიფუნქციური სტადიონის მშენებლობა ასევე სკვერის რეაბილიტაცია , კომბინატის დასახლებაში ამხანაგობებისთვის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების ფარგლებში მიმდინარე შიდა საუბნო სამუშაოები მოვინახულე, ასევე კომბინატის დასახლებაში ბესიკისა და სოხუმის ქუჩის რეაბილიტაცია , დავათვალიერე გორში გურამიშვილის ქუჩის მიმდებარედ , მდინარე მტკვრის კალაპოტში , რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მშენებლობა და ძველი ხიდის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, რომლის ფარგლებშიც მთელი წლის პერიოდში ვესწრებოდი სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებს. ასევე ვარ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების(ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის წევრი, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრი და სოფლის მხადაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე არსებული კომისიის წევრი.

აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში. ვარ თავმჯდომარის მოადგილე. მონაწილეობა მივიღე ფრაქციის 5 სხდომაში და 39 საკითხის განხილვაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიგა გელაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2023 წლის 26 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომერის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: გიგა გელაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქ.გორის მოსახლეობა, და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი შორენა შოშიაშვილი;

სხდომას თავმჯდომარეობდა: ბექა ლობჟანიძე;

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიგა გელაშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი გიგა გელაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს გიგა გელაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული

საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა გიგა გელაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: გიორგი მდინარიძემ, ქეთევან ტერმაკოზაშვილმა, კახა ნოზაძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე;

საკრებულოს წევრი : გიგა გელაშვილი;